

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

08._07_. 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და
სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 14/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	6
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	7
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	7
1. დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯები	9
2. გზების რეაბილიტაცია	10
3. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა - რეაბილიტაცია	17
4. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	19
5. საგზაო ტექნიკის შეძენა	20
6. საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	21
7. ინვენტარიზაცია	24
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	25

შემოკლებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - დეპარტამენტი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - მთავრობა;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - საავტომობილო გზები.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

➤ დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პოზიცია, კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შინაარსის გათვალისწინებით, ვერ იქნება განხილული არამუდმივ ამოცანათა შესრულებად (გვ. 10);

➤ დეპარტამენტის მიერ, ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი N2 ჩ/ფ - ქვედა აჭყვა კმ2+100 - კმ3+050“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულება, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი-ხალა-ჩაქვისთავი კმ8+000-კმ10+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ერთეულის ფასებით გაფორმების შემთხვევაში, იქნებოდა მინიმუმ 20%-ით ნაკლები (გვ. 11);

➤ დეპარტამენტის მიერ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი - მე-7 რაიონი კმ0+300 - კმ6+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობისა და მითითებულ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად არაგონივრული ვადის განსაზღვრის გამო, პრეტენდენტმა ვერ შეძლო მისი წარმოდგენა. შედეგად, საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა მომდევნო ფასის მქონე პრეტენდენტთან, რომლის ღირებულება 299 000 ლარით აღემატებოდა საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის ფასს (გვ. 13);

➤ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად, მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა აწარმოოს გეგმა-გრაფიკის მიხედვით და დროის კონკრეტულ შუალედში შეასრულოს ხელშეკრულებით ჯამური ღირებულების არანაკლებ 50%-ის ოდენობის სამუშაო, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს

პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუმცა დეპარტამენტის მხრიდან შესაბამისი ადმინისტრირება განხორციელებული არ არის (გვ. 16);

➤ დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, მიწოდების დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ მიმწოდებელი კომპანიების ნაწილს არ ჰქონდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია ან/და მათ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულის გამო არსებობს რისკები, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გარეშე მოპოვებას (გვ. 18);

➤ სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ცეკვა-ვარჯანაულის (ჭვანა) სარწყავი არხის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს, ფიქსირდება უამინდობის გამო მიწოდების ვადის გაგრძელების შემთხვევა. გადაწყვეტილების მიღების დროს არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს ინფორმაცია/ ცნობა უამინდობის შესახებ. ამასთან, შესაბამის პერიოდში უამინდობა შუახევის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებისთვის ვერ განიხილება ფორს-მაჟორულ გარემოებად (გვ. 19);

➤ „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, შტატგარეშე მოსამსახურებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სათანადოდ არ იძლევა შესასრულებელი სამუშაოს იდენტიფიცირების საშუალებას, რაც უზრუნველყოფდა მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შეფასებას (გვ. 22);

➤ საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვის ქვეპროგრამის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციისათვის გაწეული ხარჯების მარეგულირებელ ნორმებთან და გაწეულ სამუშაოსთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება (გვ. 22);

➤ ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების დროს აღინიშნა მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით არ არის გაზრდილი ორგანიზაციის წმინდა ღირებულება. ასევე, ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, არ არის განხორციელებული ურთიერთშედარებები დებიტორული/ კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან (გვ. 24);

რეკომენდაციები

➤ შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურში მიღება განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, გარკვეული ვადით და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ამასთან, დეპარტამენტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურებთან

ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხელშეკრულებაში დეტალურად იქნეს გაწერილი დასაქმებულთა სამუშაოს აღწერილობები, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შეფასებას.

➤ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შექმნილი მდგომარეობის გადაუდებელ აუცილებლობობად შეფასება განხორციელდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული სათანადო გარემოებების არსებობის შემთხვევაში; ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული; დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს;

➤ საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში, დეპარტამენტმა განახორციელოს ბაზრის ეფექტური კვლევა;

➤ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, პრეტენდენტისთვის სხვადასხვა სახის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, ვადის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული დოკუმენტის მომზადების მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრული დრო;

➤ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, ისე იქნას განსაზღვრული სატენდერო პირობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა პრეტენდენტისთვის;

➤ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, დეპარტამენტმა უზრუნველყოს ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რაც გამოირიცხავს სათანადო სარგებლობის ლიცენზიის გარეშე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის დეპარტამენტის მიერ შესყიდული სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებას;

➤ დეპარტამენტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის/ ტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვის და კონტროლის სათანადო მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ, მიზანშედეგობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას;

➤ დეპარტამენტმა უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 24 ერთეული მატერიალური ფასეულობის ღირებულებით დეპარტამენტის წმინდა ღირებულების გაზრდა. აგრეთვე, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ და მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დადგენილი წესით ჩატარება.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დეპარტამენტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს დეპარტამენტის 2014 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯები;
2. გზების რეაბილიტაცია;
3. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა - რეაბილიტაცია;
4. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია;
5. საგზაო ტექნიკის შეძენა;
6. საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა;
7. ინვენტარიზაცია.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი

აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის 2014 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია არის საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების მართვა, მოვლა-შენახვა, შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი; აგრეთვე საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების პირობებში საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის და სამელიორაციო სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. დეპარტამენტის უფროსი წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და წარმოადგენს მას სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებიც კოორდინაციას უწევენ დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ტექნიკური განყოფილება;
- ბ) მელიორაციის განყოფილება;
- გ) სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება;
- დ) საერთო განყოფილება;
- ე) საფინანსო-საბუღალტრო ადრინგვის განყოფილება;
- ვ) მატერიალური რესურსებისა და მექანიზაციის განყოფილება.


დეპარტამენტი 2014 წელს ახორციელებდა ორ პროგრამას: „საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა“, რომელიც წამოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“, რომელც თავის მხრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას. სრული ინფორმაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით (ლარებში):

ორგ. კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა		წლიური დაზუსტებული გეგმა		საკასო შესრულება	
		სულ	მ.შ. სახ. ბიუჯეტით	სულ	მ.შ. სახ. ბიუჯეტით	სულ	მ.შ. სახ. ბიუჯეტით
030601	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა	959,200		1,005,200		990,669.2	
	ხარჯები	949,200		944,783		935,713.5	
	შრომის ანაზღაურება	844,500		844,500		841,324.5	
	საქონელი და მომსახურება	104,700		100,283		94,389	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,000		56,000		50,538.7	
	ვალდებულებების კლება	0		4,417		4,417	
030602	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	19,597,610	2,500,000	19,551,610	2,500,000	18,494,670.2	2,064,644
	ხარჯები	4,155,740		4,149,598		3,745,373.6	
	საქონელი და მომსახურება	4,155,740		4,149,598		3,745,373.6	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,441,870	2,500,000	15,395,870	2,500,000	14,743,154.9	2,064,644
	ვალდებულებების კლება	0		6,142		6,141.7	
03060201	გზების რეაბილიტაცია	9,808,243		9,808,243		9,737,354.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,808,243		9,808,243		9,737,354.8	
03060202	ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია	4,824,942	2,500,000	4,824,942	2,500,000	4,325,576.2	2,064,644
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,824,942	2,500,000	4,824,942	2,500,000	4,325,576.2	2,064,644
03060203	სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	317,836		317,836		302,174.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	317,836		317,836		302,174.8	
03060204	საგზაო ტექნიკის შეძენა	220,849		174,849		143,990	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	220,849		174,849		143,990	

03060205	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	4,425,740		4,425,740		3,985,574.5	
	ხარჯები	4,155,740		4,149,598		3,745,373.6	
	საქონელი და მომსახურება	4,155,740		4,149,598		3,745,373.6	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	270,000		270,000		234,059.2	
	ვალდებულებების კლება	0		6,142		6,141.7	

1. დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯები

დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯების 90.2% (844 324.5 ლარი) გახარჯულია დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელფასზე. მათ შორის, 841 324.5 ლარი გაწეულია შრომის ანაზღაურების მუხლით, საიდანაც 504 314.5 ლარი გაცემულია თანამდებობრივი სარგოს სახით, ხოლო 337 010 ლარი - პრემიის სახით. გაცემულმა პრემიამ შეადგინა შრომის ანაზღაურების - 40.1%, ხოლო თანამდებობრივი სარგოს 66.8%. პრემია გაცემულია ყოველთვიურად, გარდა ოქტომბრის თვისა, თითოეულ თანამშრომელზე ძირითადად თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ან/და 100%-ის ოდენობით. სრული ინფორმაცია თვეების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ლარში):



საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის პროგრამის ფარგლებში დეპარტამენტში დასაქმებულია ერთი შტატგარეშე მომუშავე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

კრიტიკუმი

მოქმედი რეგულაციებით, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად¹.

გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტში 2014 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდამდე² შტატგარეშე მოსამსახურედ დასაქმებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი³. აღნიშნული პოზიცია, კონტრაქტით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის გათვალისწინებით, ვერ იქნება განხილული არამუდმივ ამოცანათა შესრულებად. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება შტატგარეშე მოსამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობა.

რეკომენდაცია

შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურში მიღება განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, გარკვეული ვადით და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

2. გზების რეაბილიტაცია

გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 17 დასახელების გზის მონაკვეთზე, საერთო სიგრძით 39.2 კმ, ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ხოლო ერთი - 1.5 კმ გზის მოწყობის სამუშაოები. შესრულებულია 38.8 კმ, ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები (ხიჭაური-ნაღვარევი 5.5 კმ-ის ნაცვლად განხორციელდა 5.1 კმ ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები). დეპარტამენტის განმარტებით, მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, გარკვეული პერიოდით შეჩერებული იყო ცეცხლაურის ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები, რის გამოც 2014 წელს შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა მთლიანი მოცულობის მხოლოდ 62%.

კრიტიკუმი

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შესმყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი

¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

² 26/06/2015 წ.

³ შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) 01/10/2014 წ.

ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის კონებას⁴.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა⁵, რის გამოც შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ხორციელდება ბაზრის კვლევა⁶.

გამოვლენილი გარემოება

2014 წლის 13 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით⁷, გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი N2 ჩ/ფ - ქვედა აჭყვა კმ2+100 - კმ3+050“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის ღონისძიება. დეპარტამენტმა 2014 წლის 15 ოქტომბერს წერილობით მიმართა⁸ მთავრობას და წარუდგინა მთავრობის განკარგულების პროექტი გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ. მთავრობის 2014 წლის 16 ოქტომბრის N150 განკარგულებით დეპარტამენტს მიეცა თანხმობა სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე. განკარგულების საფუძველზე, 2014 წლის 7 ნოემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება⁹. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურები ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 30 დღემდე, 2014 წლის 13 ოქტომბერს დამტკიცებული ღონისძიების შესასრულებლად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელი იქნებოდა არაუგვიანეს 12 ნოემბრისა. ზემოაღნიშნულის გამო, დეპარტამენტის მხრიდან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების მოთხოვნა იმ გარემოებებში, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა ღონისძიების დამტკიცებიდან 24 დღის შემდეგ, გონივრულ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმის მიზნებს. ამასთან,

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის N113-უ.ს.რ.ს. სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016043

⁸ წერილი N1166, 15/10/2014 წ.

⁹ ხელშეკრულება N265, 07/11/2014 წ.

ჯანსაღი კონკურენციისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტს შეეძლო მოეთხოვა თანხმობა არა სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე, არამედ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე, რაც გაცილებით მეტად არგუმენტირებული იქნებოდა.

ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი N2 ჩ/ფ - ქვედა აჭყვა კმ2+100 - კმ3+050“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „არნაბი 21“-თან. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 268 360 ლარი. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით რწმუნების მისაღებად, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ერთეულის ფასების შედარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი-ხალა-ჩაქვისთავი კმ8+000-კმ10+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების¹⁰ ხარჯთაღრიცხვის ერთეულის ფასებთან. რადგან შესასრულებელი სამუშაოების შინაარსი, რიგ შემთხვევებში, არ იყო იდენტური, შედარებითი ანალიზი განხორციელდა მხოლოდ იმ სამუშაოების ერთეულის ფასებთან დაკავშირებით, რომლებიც ფიქსირდება ორივე ღონისძიების შემთხვევაში. შედეგად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი N2 ჩ/ფ - ქვედა აჭყვა კმ2+100 - კმ3+050“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი-ხალა-ჩაქვისთავი კმ8+000-კმ10+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ერთეულის ფასებით გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება იქნებოდა მინიმუმ 20%-ით ნაკლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებებისა, აღნიშნული მიწოდების გარე საექსპერტო დადასტურება არ არის განხორციელებული, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა აზრი გამოთქვას მიწოდებული სამუშაოს მოცულობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

➤ შექმნილი მდგომარეობის გადაუდებელ აუცილებლობობად შეფასება განხორციელდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული სათანადო გარემოებების არსებობის შემთხვევაში. ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული;

¹⁰ ხელშეკრულება N194, 18/08/2014 წ.

➤ საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში, დეპარტამენტმა განახორციელოს ბაზრის ეფექტური კვლევა.

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და შესყიდვის მონაწილეთა სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა.

გამოვლენილი გარემოება

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი - მე-7 რაიონი კმ0+300 - კმ6+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში ¹¹ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1 388 430 ლარით. საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის ¹² შეთავაზებამ შეადგინა 1 000 000 ლარი. რადგან შეთავაზებული ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, დეპარტამენტის მიერ, პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობისა და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის დადასტურება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით, რისთვისაც განესაზღვრა სამი სამუშაო დღის ვადა ¹³. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ უფროსის 2013 წლის 30 აპრილის N81 ბრძანების „სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადა შეადგენს ხუთ სამუშაო დღეს. შესაბამისად, პრეტენდენტი დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლებდა ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენას. შედეგად, საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულება ¹⁴ გაფორმდა მომდევნო ფასის მქონე პრეტენდენტთან ¹⁵, რომლის ღირებულება 299 000 ლარით აღემატებოდა საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის ფასს ¹⁶.

¹¹ SPA140010153

¹² შპს „მტს“

¹³ წერილი N390, 13/05/2014 წ.

¹⁴ ხელშეკრულება N98, 23/05/2014 წ.

¹⁵ შპს „ზიმო-7“

¹⁶ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული სრული მიწოდების ღირებულებამ შეადგინა 1 254 626 ლარი

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, პრეტენდენტისთვის სხვადასხვა სახის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, ვადის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული დოკუმენტის მომზადების მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრული დრო.

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი კონკურენციის განვითარება¹⁷, რის უზრუნველსაყოფადაც მიზანშეწონილია, სატენდერო პირობებში ზუსტად და არაორაზროვნად განისაზღვროს ყველა პრეფერენცია, რითაც შესაძლოა ისარგებლოს მიმწოდებელმა.

გამოვლენილი გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „კირნათის გზა-ჩხუტუნეთის გზა კმ7+250-კმ-კმ9+300“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული, ელექტრონული ტენდერის¹⁸ საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების¹⁹ 5.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელს მთლიანი სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 50% უნდა შეესრულებინა არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღეში. 2014 წლის 16 სექტემბერს, მიმწოდებელი კომპანიის მიერ, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან სავიზო რეჟიმის ამოქმედების გამო ბიტუმის ტრანსპორტირების შეფერხების საფუძველით, მოთხოვნილი იქნა ზემოაღნიშნული 60 დღიანი ვადის გაგრძელება²⁰. დეპარტამენტის მიერ სათანადო გამოკვლევის გარეშე²¹, დაკმაყოფილებული იქნა მოთხოვნა²² და გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება²³.

ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული იყო საავანსო ანგარიშსწორების შესაძლებლობა, არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით, რაც შესაბამისად იქნა ასახული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში²⁴. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით, საავანსო ანგარიშსწორებისთვის სავალდებულო მოთხოვნად განისაზღვრა აუცილებლობის (საჭიროების) დასაბუთება. ამასთან, დეპარტამენტი იტოვებდა

¹⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

¹⁸ SPA140015896

¹⁹ ხელშეკრულება N164, 22/07/2014 წ.

²⁰ წერილი N01-10/193, 16/09/2014 წ.

²¹ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი მოქმედებს 2013 წლის 1 ივლისიდან

²² წერილი N1013, 19/09/2014 წ.

²³ შეთანხმება N1, 19/09/2014 წ.

²⁴ ხელშეკრულების 2.9 პუნქტი

უფლებას, წერილობითი დასაბუთების მიუხედავად, უარი ეთქვა საავანსო ანგარიშსწორებაზე. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებიდან 5 დღის შემდეგ, 2014 წლის 24 სექტემბერს, მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო ანგარიშსწორების ოდენობის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-მდე გაზრდა²⁵. აუცილებლობას მიმწოდებელი ამ შემთხვევაშიც ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან სავიზო რეჟიმის ამოქმედების გამო ბიტუმის ღირებულების გაზრდით ასაბუთებდა. დეპარტამენტის მიერ იმავე დღეს დაკმაყოფილებული იქნა მოთხოვნა²⁶ და გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება²⁷.

ილენტური ხასიათის მოქმედება ფიქსირდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზა „ჩაქვი-ხალა-ჩაქვისთავი კმ8+000-კმ10+000“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერის²⁸ შემთხვევაშიც, რომლის სატენდერო დოკუმენტაციითაც გათვალისწინებული იყო საავანსო ანგარიშსწორების შესაძლებლობა, არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით, რაც შესაბამისად ასახული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში²⁹. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით, საავანსო ანგარიშსწორებისთვის სავალდებულო მოთხოვნად ამ შემთხვევაშიც განისაზღვრა აუცილებლობის (საჭიროების) დასაბუთება. ამასთან, დეპარტამენტი იტოვებდა უფლებას, წერილობითი დასაბუთების მიუხედავად, უარი ეთქვა საავანსო ანგარიშსწორებაზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის შემდეგ, 2014 წლის 24 სექტემბერს, მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო ანგარიშსწორების ოდენობის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-მდე გაზრდა³⁰. აუცილებლობას მიმწოდებელი ამჯერადაც ასაბუთებდა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან სავიზო რეჟიმის ამოქმედების შედეგად ბიტუმის ღირებულების გაზრდით. დეპარტამენტის მიერ იმავე დღეს დაკმაყოფილებული იქნა მოთხოვნა³¹ და გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება³².

უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი გაუქმდა 2013 წლის 1 ივლისიდან და შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდებოდა ბიტუმის მიწოდების შეფერხების მიზეზი. დეპარტამენტის მხრიდან სახეზეა, სათანადო გამოკვლევის გარეშე, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღება. ამასთან, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-ის ოდენობის წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობის სატენდერო პირობებით თავიდანვე გაუთვალისწინებლობა ხელს უშლის ეფექტურ კონკურენციის განვითარებას.

²⁵ წერილი N01-10/202, 24/09/2014 წ.

²⁶ წერილი N1047, 24/09/2014 წ.

²⁷ შეთანხმება N2, 24/09/2014 წ.

²⁸ SPA140016439

²⁹ ხელშეკრულება N194, 18/08/2014 წ., 2.9 პუნქტი

³⁰ წერილი N01-10/201, 24/09/2014 წ.

³¹ წერილი N1047, 24/09/2014 წ.

³² შეთანხმება N1, 24/09/2014 წ.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, ისე იქნას განსაზღვრული სატენდერო პირობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა პრეტენდენტისთვის.

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით, სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გამოვლენილი გარემოება

გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით, მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა აწარმოოს გეგმა-გრაფიკის მიხედვით და დროის კონკრეტულ შუალედში უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით ჯამური ღირებულების არანაკლებ 50%-ს ოდენობის სამუშაო. ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს სამუშაოების სრულად დასრულების თარიღსაც. ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი (შეუსრულებელი) ღირებულების 0.15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტის მიერ, სააუდიტო პერიოდში, გეგმა-გრაფიკის მიხედვით, არ ხორციელდებოდა ვალდებულებების შესრულების კონტროლი. მართალია, გეგმა-გრაფიკის შესრულების დასადასტურებლად არ იქმნებოდა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, თუმცა შესრულებული სამუშაოს შესახებ სამუშაოთა წარმოების ჟურნლის ინფორმაციაზე დაყრდნობით, დეპარტამენტს ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა გეგმა-გრაფიკის შესრულების მდგომარეობის კონტროლი და დარღვევის შემთხვევაში, გამოეყენებინა პირგასამტეხლოს მექანიზმი, რაც არ არის განხორციელებული. მოპოვებული მტკიცებულებებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება დეპარტამენტის გადაწყვეტილების³³ დასაბუთებულობის შესახებ.

რეკომენდაცია

დეპარტამენტის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც დეპარტამენტი ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღების დროს.

³³ პირგასამტეხლოს არდარიცხვა

3. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა - რეაბილიტაცია

ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამით, 2014 წელს დაგეგმილი იყო საავტომობილო გზებზე 131 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა, მათ შორის, 7 ერთეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში. დაგეგმილი ღონისძიებებიდან 129 ობიექტის მშენებლობა დასრულდა. დეპარტამენტის განმარტებით, მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო 2 ობიექტის მშენებლობა შეწყდა.

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვის განხორციელება დადგინდა საქართველოს, ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მთავრობის სამართლებრივი აქტით³⁴. აღნიშნული ნორმა შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებას აძლევს სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუმცა არ უკრძალავს გამოიყენოს სახელმწიფო შესყიდვის უფრო კონკურენტული საშუალება.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა³⁵, რის გამოც შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ხორციელდება ბაზრის კვლევა³⁶.

გამოვლენილი გარემოება

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N272 განკარგულების შესასრულებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის N28 განკარგულებით, 2013 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, დეპარტამენტს „ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში გამოეყო 2 500 000 ლარი და მიეცა უფლება აღნიშნული ღონისძიებები განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. განკარგულების ფარგლებში გათვალისწინებული, 31

³⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

³⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

³⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

ერთეული³⁷ ღონისძიების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2014 წლის 14 მარტიდან 30 აპრილის პერიოდში, ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურები ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 30 დღემდე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევის შესახებ არ არის დასაბუთებული.

რეკომენდაცია

- დეპარტამენტის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული;
- საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში, დეპარტამენტმა განახორციელოს ბაზრის ეფექტური კვლევა.

კრიტერიუმი

მოქმედი კანონმდებლობით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება წარმოადგენს სალიცენზიო საქმიანობას³⁸. შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, სათანადო სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე.

გამოვლენილი გარემოება

ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელებულია დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები. აუდიტის ჯგუფის მიერ მიმწოდებელ კომპანიებს გაეგზავნათ გარე დადასტურების წერილები სამუშაოს შესრულების მიზნით გამოყენებული ქვიშა-ხრეშოვანი მასალის მოპოვების/ შესყიდვის დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი მხოლოდ რამდენიმე კომპანიამ წარმოადგინა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ეს კომპანიები ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებით მესამე პირებს უკვეთავდნენ სამუშაოების შესრულებას ან/და მესამე პირებისგან ყიდულობდნენ ქვიშა-ხრეშოვან მასალას. დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების მიწოდების დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ მიმწოდებელი კომპანიების ნაწილს არ ჰქონდა ბუნებრივი რესურსებით

³⁷ ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან მდინარე ბარცხანის კალაპოტის გაწმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. SPA140017326

³⁸ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი

სარგებლობის ლიცენზია ან/და მათ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულის გამო არსებობს რისკები, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გარეშე მოპოვებას.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, დეპარტამენტმა უზრუნველყოს ისეთი ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რაც გამორიცხავს სათანადო სარგებლობის ლიცენზიის გარეშე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის დეპარტამენტის მიერ შესყიდული სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებას.

4. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წელს გათვალისწინებული იყო 8 სარწყავი არხის რეკონსტრუქცია, საერთო სიგრძით 88.1 კმ. რეკონსტრუქცია ჩატარდა 83.4 კმ-ზე. ცეკვა-ვარჯანაულის არხის (შუახევის მუნიციპალიტეტი) 15.2 კმ-დან შესრულებულია მხოლოდ 10.5 კმ.

კრიტერიუმი

დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა³⁹. ამასთან, ცვლილება უნდა განხორციელდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი კონკურენციის განვითარება⁴⁰.

გამოვლენილი გარემოება

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ცეკვა-ვარჯანაულის (ჭვანა) სარწყავი არხის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული, ელექტრონული ტენდერის⁴¹ საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების⁴² 5.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებდა სამუშაოების დასრულების ვალდებულებას 2014 წლის 13 ნოემბრამდე. მიწოდების ვადის გასვლამდე ორი დღით ადრე, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება⁴³, რომლითაც

³⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი

⁴⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

⁴¹ SPA140018670

⁴² ხელშეკრულება N229, 15/09/2014 წ., ღირებულება - 101 999 ლარი

⁴³ შეთანხმება N1, 11/11/2014 წ.

სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 25 დღით, 2014 წლის 8 დეკემბრამდე. ვადის გაგრძელებას საფუძვლად დაედო უამინდობა, რაც შუახვევის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებისთვის შესაბამის პერიოდში ვერ იქნება განხილული, როგორც ფორს-მაჟორული გარემოება. ამასთან, ცვლილების განხორციელების დროს არ ყოფილა წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს ცნობა/ ინფორმაცია თოვლის საფარის შესახებ. ზემოაღნიშნულის გამო, მიწოდების ვადის გაგრძელება არ არის დასაბუთებული ⁴⁴, ხოლო დეპარტამენტის გადაწყვეტილება მიმართული ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის.

მიმწოდებელმა საბოლოოდ ვერ შეძლო სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულება ⁴⁵. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება, ხოლო მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა 2 601 ლარის გადახდა.

რეკომენდაცია

➤ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, ისე იქნას განსაზღვრული სატენდერო პირობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა შესაძლო პრეტენდენტისთვის;

➤ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების მიწოდების ვადების გაგრძელება განხორციელდეს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შექმნილი გარემოებების ადეკვატურად.

5. საგზაო ტექნიკის შეძენა

კრიტერიუმი

მოქმედი რეგულაციებით, დეპარტამენტი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს ეფექტური აქტივობების განხორციელება რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის მიზნების მისაღწევად. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული დეპარტამენტის გადაწყვეტილება პროგრამებს შორის თანხის გადანაწილების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს.

გამოვლენილი გარემოება

საგზაო ტექნიკის შეძენის ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ექსკავატორ-დამტვირთველის, ვიბრო-ჩაქურჩის და მძიმე ტექნიკის გადასაადგილებელი მოწყობილობის შესყიდვა.

⁴⁴ ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს 3 825 ლარს

⁴⁵ მიწოდებული სამუშაოს სრულმა ღირებულებამ შეადგინა 90 203 ლარი. არ შესრულებულა 11 796 ლარის ღირებულების სამუშაო

ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა ექსკავატორ-დამტვირთველის სახელმწიფო შესყიდვა ⁴⁶, ხოლო ვიბრო-ჩაქურჩის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დეპარტამენტს სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია. დეპარტამენტის შესაბამისი გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული.

მძიმე ტექნიკის გადასაადგილებელი მოწყობილობის - უნაგირა-საწევარას ნახევრადმისაბმელით (ლაფეტით) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ⁴⁷ მონაწილეთა არარსებობის გამო არ შედგა, თუმცა დეპარტამენტს განმეორებითი ტენდერი ან სხვა საშუალებით შესაძლო მიმწოდებელთა მოძიება არ განუხორციელებია. სათანადო დასაბუთების გარეშე, აუთვისებელი თანხიდან 46 000 ლარი, მოქმედი პროცედურების საშუალებით ⁴⁸, გადატანილი იქნა „სავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის“ პროგრამაში და 42 658 ლარად დეპარტამენტის აპარატისთვის შესყიდული იქნა მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება MITSUBISHI L200⁴⁹.

რეკომენდაცია

დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ეფექტური აქტივობების განხორციელება რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის მიზნების მისაღწევად. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული დეპარტამენტის გადაწყვეტილება პროგრამებს შორის თანხის გადანაწილების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს.

6. საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა

საგზაო და სამელიორაციის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ზამთრის პერიოდში გზის სავალი ნაწილის გაწმენდას თოვლის საფარისაგან, გზების მოხრეშვა-მოშანდაგებას, ორმულ შეკეთებას, წყალგამტარი მილებისა და საგზაო საინფორმაციო ნიშნების მოწყობას, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოებას, გზებზე ბეტონის საფარის მოწყობას, ხელოვნური ნაგებობის მიმდინარე შეკეთებას და მომდევნო წელს განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას.

კრიტიკიუმი

მოქმედი რეგულაციებით, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება არამუდმივ

⁴⁶ SPA140026669, ხელშეკრულება N283, 04/12/2014 წ., მიმწოდებელი - შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“, ღირებულება 143 990 ლარი

⁴⁷ SPA140019702

⁴⁸ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N189, 24/11/2014 წ.

⁴⁹ ხელშეკრულება N301, 18/12/2014 წ. მიმწოდებელი - შპს „კავკასუს მოტორსი“

ამოცანათა შესასრულებლად ⁵⁰ . ამასთან, შესაბამის დოკუმენტში უნდა იქნეს გაწერილი დასაქმებულთა სამუშაოს აღწერილობები.

გამოვლენილი გარემოება

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ქვეპროგრამის ფარგლებში, დეპარტამენტში შტატგარეშე მოსამსახურის მოვალეობებს ასრულებდა 418 პირი, რომლებზეც გაცემულია 1 404 702 ლარის ოდენობის ხელფასი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აღნიშნული პირები დასაქმებული იყვნენ გზის მომვლელის, უბნის უფროსის, ზეინკალის, მექანიზატორის, დარაჯის და ა. შ. პოზიციებზე, თუმცა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები სათანადოდ არ იძლევა შესასრულებელი სამუშაოს იდენტიფიცირების საშუალებას⁵¹, რის გამოც, არსებული მასალებით, შეუძლებელია შესრულებული სამუშაოს მოცულობის დადგენა და შესაბამისად, შედეგების შეფასება.

რეკომენდაცია

დეპარტამენტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხელშეკრულებაში დეტალურად იქნეს გაწერილი დასაქმებულთა სამუშაოს აღწერილობები, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შეფასებას.

კრიტერიუმი

საჯარო დაწესებულება მოქმედი მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უზრუნველყოფს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც განაპირობებს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ, მიზანშედეგობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას.

გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის საბუღალტრო მონაცემებით, საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის 2014 წლის განმავლობაში გახარჯულია 947 115 ლარის ღირებულების 512 226 ლიტრი საწვავი, მათ შორის, 67 386 ლარის ღირებულების 36 086 ლიტრი ბენზინი და 879 729 ლარის ღირებულების 476 140 ლიტრი დიზელის საწვავი.

⁵⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

⁵¹ შესაბამისი ხელშეკრულებები არ იძლევა შესასრულებელი სამუშაოს გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგ. გზის, სარწყავი და დამშრობი არხების მომვლელის მოვალეობებში შედის მიწის ვაკისზე გვერდულების დასუფთავება, მომანდაკება და დაპროფილება, თუმცა შესაბამისი ხელშეკრულება არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს, თუ კონკრეტულად სად ან რა მოცულობით და პერიოდულობით უნდა შესრულდეს აღნიშნული სამუშაო

დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა სპეცტექნიკაზე საწვავის გაცემის, ჩამოწერის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, გავლილი მანძილის, მუშაობის ხანგრძლივობის აღრიცხვისა და დადასტურებისათვის დეპარტამენტს წარმოებული აქვს ავტომობილის საგზაო ფურცლები და ტრაქტორის საგზაო ბარათები. მართალია, არსებულ დოკუმენტაციაში მითითებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ განვლილი მანძილი, ხოლო სპეცტექნიკის შემთხვევაში - ფაქტობრივად მუშაობის ხანგრძლივობა, თუმცა რიგ შემთხვევებში გახარჯული საწვავის დაკავშირება სპეცტექნიკის ფაქტობრივად მუშაობის ხანგრძლივობასთან ვერ ხერხდება, რადგან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღნიშნული ხანგრძლივობით სპეცტექნიკის მუშაობისთვის, არსებული ნორმების გათვალისწინებით, გაცილებით მეტი ოდენობის საწვავი იქნებოდა საჭირო. აუდიტით დგინდება, რომ 2014 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის მონაცემთა, ხოლო სპეცტექნიკაზე - ფაქტობრივად მუშაობის დამადასტურებელი მოტო საათების აღრიცხვა არ ხორციელდებოდა. შესაბამისად, ავტომობილის საგზაო ფურცლების და ტრაქტორის საგზაო ბარათების ინფორმაციის ავთენტურობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული. დეპარტამენტის განმარტებით, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული 35 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და სპეცტექნიკის, მათ შორის ტრაქტორების, ოდომეტრები და მოტო საათების აღმრიცხველი მექანიზმები 2014 წლის განმავლობაში არ მუშაობდა.

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვის ქვეპროგრამის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცტექნიკის სათადარიგო ნაწილებზე, მათ შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე სულ გაწეულია 261 385 ლარის ფაქტიური ხარჯი. მექანიზმების მწყობრიდან გამოსვლის დასადასტურებლად არ არის შედგენილი დეფექტური აქტები, ხოლო ცალკეულ ტექნიკაზე სათადარიგო ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებით შედგენილ აქტებში არ არის მითითებული კონკრეტულად როდის განხორციელდა სათადარიგო ნაწილის დაყენება და ვის მიერ. ამასთან, დადგენილი წესით არ არის აღრიცხული გამოცვლილი და ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები.

რეკომენდაცია

დეპარტამენტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის/ ტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვის და კონტროლის სათანადო მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ, მიზანშედეგობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას.

7. ინვენტარიზაცია კრიტერიუმი

მოქმედი რეგულაციებით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას⁵². ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში გაიზრდება წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი⁵³. საჯარო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, დადგენილი წესით, იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ⁵⁴.

გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის 2014 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 24 ერთეული მატერიალური ფასეულობა, რომელიც არ ირიცხებოდა დეპარტამენტის ბალანსზე. მოქმედი კანონმდებლობით, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში გაიზრდება წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი, რაც დეპარტამენტის მიერ არ განხორციელებულა.

დეპარტამენტის 2014 წლის ინვენტარიზაციის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დეპარტამენტის ბალანსზე არ ირიცხებოდა 6 ერთეული ამორტიზირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება და სხვა ძირითადი აქტივი, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა⁵⁵, წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ საკუთრებას და ირიცხება მის კაპიტალში, ხოლო დეპარტამენტის მფლობელობაში იმყოფებოდა სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ინვენტარიზაციის მასალების აუდიტით გამოვლინდა, რომ დადგენილი წესით, ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მასალებით დგინდება, რომ არ ხორციელდება ურთიერთშედარებები დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან.

⁵² დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 მუხლი

⁵³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი

⁵⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

⁵⁵ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N3913/01, 30/03/2015 წ.

რეკომენდაცია

დეპარტამენტმა უზრუნველყოს,

- ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 24 ერთეული მატერიალური ფასეულობის ღირებულებითი შეფასება და შესაბამისად, ორგანიზაციის წმინდა ღირებულების გაზრდა;
- მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დადგენილი წესით ჩატარება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჯგუფის ხელმძღვანელი:

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი/



რამაზ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/



6 ივლისი 2015 წ.